



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტრო

PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

29 მარტი, 2017

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

USAID-ის პროექტ Zrda-ს:

ქეთი რეხვიაშვილი, კომუნიკაციების მენეჯერი

ტელეფონი: 032 222 7495

ელფოსტა: krekhiashvili@zrda.ge

USAID ZRDA და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანამშრომლობა ახალგაზრდების მხარდასაჭერად

თბილისი - 2017 წ. 29 მარტს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი ZRDA -ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ, ურთიერთთანამშრომლობისა და კოორდინაციის გზით, შეიმუშაონ ერთობლივი მიდგომა და განახორციელონ ღონისძიებები რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების კეთილდღეობის ზრდისა და მათი განვითარების ხელშეწყობისთვის.

მემორანდუმის საფუძველზე იგეგმება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი, იძულებით გადაადგილებული და ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარედ მცხოვრები ახალგაზრდების ინტეგრაციისა და განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობა; რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარებისა და მათი დასაქმების/თვითდასაქმების შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობი ღონისძიებების მხარდაჭერა; სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება; და რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობის ზრდის მხარდაჭერისა და აქტიური მოქალაქეობის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობა.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 70 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განახორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მეწარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნეს კავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციულ საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>



პროექტი ზრდა საქართველოში
ZRDA ACTIVITY IN GEORGIA



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

USAID-ის საქმიანობის შესახებ საქართველოში: უკანასკნელი 24 წლის განმავლობაში ამერილმა ხალხმა USAID-ის საშუალებით 1.5 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხის ინვესტიცია განახორციელა საქართველოში. პროექტები, რომელთა მიზანია დახმარება გაუწიოს საქართველოს თავისუფალი და განვითარებული დემოკრატიის მშენებლობაში, მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ჯანდაცვისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება. USAID-ი ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს 100-ზე მეტ ქვეყანას. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.usaid.gov/georgia>